მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტსა
და
ფანი თრეველ ჯორჯიას
შორის

მემორანდუმი

16.04.2019 ქ. თბილისი

ერთი მხრივ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ვალენტინა საყვარელიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ფანი თრეველ ჯორჯია" (შემდგომში „ტურისტული კომპანია"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მაია მელაძის სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთპატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი გაღრმავების სურვილს, დებენ წინამდებარე მემორანდუმს.

1. მემორანდუმის მიზანი

   წინამდებარე მემორანდუმის მიზანია: მხარეთა მომავალი ურთიერთთანამშრომლობისათვის საფუძვლის ჩაყრა და მისი შემდგომი ხელშეწყობა; ამ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში „უნივერსიტეტის" სტუდენტების მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება; მათი პროფესიული პოტენციალის რეალიზაცია და მათი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

   „უნივერსიტეტი" იღებს ვალდებულებას:

   2.1.1. დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებების გასამართად უსასყიდლოდ გამოყოს უნივერსიტეტის კუთვნილი ფართი (აუდიტორიები, საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები).

   2.1.2. დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებების გასამართად უსასყიდლოდ გამოყოს უნივერსიტეტის სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსები.

   2.1.3. „ტურისტული კომპანიის" თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩაატაროს მიზანმიმართული, სპეციალიზებული კურსები.

   2.1.4. განახორციელოს ერთობლივი სასწავლო ღონისძიებები წინასწარ შეთანხმებულ თემებზე.

   2.1.5. გაუზიაროს „ტურისტულ კომპანიას" მეცნიერული კვლევის შედეგები და ინფორმაცია.

   2.1.6. უზრუნველყოს „ტურისტული კომპანიის" საქმიანობის შესახებ პრეზენტაციებისა და შეხვედრების ორგანიზება.

   2.1. „ტურისტული კომპანია" იღებს ვალდებულებას:

2.2.1. მისცეს „უნივერსიტეტის" სტუდენტებს სასწავლო და პროფესიული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა.

2.2.2. სტაჟირების გამოცხადების შესახებ შეატყობინოს „უნივერსიტეტის" ადმინისტრაციას.

2.2.3. ვაკანსიების გამოცხადების შესახებ შეატყობინოს „უნივერსიტეტის" ადმინისტრაციას.

2.2.4. შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ხელი შეუწყოს თავის სისტემაში „უნივერსიტეტის" კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

2.2.5. უზრუნველყოს „ტურისტული კომპანიის" თანამშრომელთა მიერ საჯარო ლექციების გამართვა „უნივერსიტეტში".

2.2.6. განახორციელოს ერთობლივი სასწავლო ღონისძიებები წინასწარ შეთანხმებულ თემებზე.

2.2.7. განახორციელონ ერთობლივი სასწავლო ტურები.

3. დასკვნითი ნაწილი

3.1. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

3.2. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რაც წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

3.4. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3.5. მემორანდუმის ვადამდე შეწყვეტის შესახებ მხარეები წინასწარ წერილობით ფორმით ატყობინებენ ერთმანეთს.

3.6. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება, მემორანდუმის ფარგლებში, უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

3.7. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	შპს ფანი თრეველ ჯორჯია
ს/კ 206046045	ს/კ 405319070
მისამართი: ბერი გაბრიელ სალოსის გამზ 31	მისამართი: გ. ბურკიაშვილის ქ. #7
0144 თბილისი, საქართველო	0179, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995) 599 54 03 50	ტელ.: (+995) 595 077 470
ელ-ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge	ელ-ფოსტა: info.funnytravelgeorgia@gmail.com
ვებგვერდი: www.thu.edu.ge	ვებგვერდი:
/ვალენტინა საყვარელიძე/	/მაია მელაძე/